

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება „რულერ“ (ს/კ 426112949)

ელ.ფოსტა. kompaniaxjgupi@yahoo.com

ტ. 599 55-93-75.

### სკრინინგის ანგარიში

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რულერ“-სი (მისამართი: საქართველო, ქ. ბორჯომი, ფალიაშვილის ქ., № 4), გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობას ქალაქ ბორჯომში, შოთა რუსთაველის ქუჩა №20რ, (GPS კოორდინატში X=366092.00; Y=4633520.00).

ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 68 მეტრით (იხ. დანართში სიტუაციური რუკა), ხოლო სასტუმრო კომპლექსი „ოლიმპი“ 70 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რულერ“-ის მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მოწყობასთან დაკავშირებით წარმოგიდგინებ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქალაქ ბორჯომში, შოთა რუსთაველის ქუჩა №20რ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 64.23.02.961 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 262 მ<sup>2</sup>, გზის პირზე მდებარე მიწის ნაკვეთს (იხ. დანართში სურათები), რომელიც შემდგომ მობეტონებული იქნება.

აღნიშნული ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით არის ცარიელი აუთვისებელი, მას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მდინარე მტკვარი, რომელიც ბეტონის კალაპოტშია მოქცეული, ჩრდილოების მხრიდან შოთა რუსთაველის ქუჩა, დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება „გალფი“-ს ავტოგასამართი სადგური, ხოლო დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც გამწვანებული ტერიტორიაა.

ტერიტორიაზე დაგეგმილია ბენზინისა და დიზელის საწვავის გასამართი სადგურის მშენებლობა.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია რომელიც მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით:

- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა -0.19 დან 0.30 კპ.ა;
- ჩაყინვის დონე 39 დან 58 სმ. -მდე. (გრუნტის ტიპის მიხედვით);
- თოვლის საფარის წნევა აღწევს 0.50 კპ.ა;
- სეისმურობა 8.0 ბალი;

**ბენზინგასამართი სადგური:**

საპროექტო შენობა, მართკუთხედის ფორმისაა გაზარიტებით 3.0მx9.0 მ, კარკასული ტიპის. კედლები ამოშენდება სამშენებლო ბლოკით 20x30x40 სმ; ხოლო შემდგომ შელესვა და შეღებვა, ასევე გამოყენებული იქნება ალუკობონდის ფურცლები და მინა, რომელიც კომპლექს მისცემს თანამედროვე იერსახეს.

საძირკველი წრტილოვანია შენობის მაქ. სიმაღლე 4.0 მ-მდე;

ახურავი ერთქანობიანია, რომელიც მოეწყობა რკინის ნივივებით და დაიხურება მეტალო-კრამიტით;

**ფარდული:**

საპროექტო შენობა, მართკუთხედის ფორმისაა გაზარიტებით 8.0მx6.3მ, მსუბუქი ლითონის კონსტრუქცია; ფარდული მოეწყობა ლითონის კონსტრუქციით და დიფარება შესაბამისი მანათობელი სარეკლამო დაფებით.

საძირკველი წრტილოვანია შენობის მაქ. სიმაღლე 5.5 მ-მდე;

სახურავი ერთქანობიანია, რომელიც მოეწყობა რკინის ნივივებით და დაიხურება მეტალო-კრამიტით;

სადგურის მომსახურება მოხდება 2 საწვავი რეზერვუარიდან, თითო 25 მ<sup>3</sup>, რომლებიც განთავსდება მიწის ქვეშ საკორფაგში ზომებით: 7.5 მ x 6.5 მ;

ტერიტორია მოშანდაკდება დეკორატიული ფილებით და ორივე მხარეს მოეწყობა გაზონები.

ტექნიკური პირობების მიხედვით მიყვანილ იქნება ელ.ენერგია, წყალი, და მოეწყობა ღვარსადენი და კანალიზაცია. ასევე მოეწყობა სალექარი.

კერძოდ, მიწის ქვემოთ განთავსებული იქნება ქარხნული წარმოების 25 მ<sup>3</sup> მოცულობის ორი ცალი ცისტერნა, რომლებიდანაც ერთი გათვალისწინებულია ბენზინის საწვავისათვის, ხოლო მეორე დიზელის საწვავისათვის.

ტერიტორიაზე ასევე იგეგმება ავტოგასამართი სადგურიდან ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტებისათვის შემკრები მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობა, რომლის მოცულობა ტოლი იქნება 5 მ<sup>3</sup>-ის.

ბენზინისათვის განკუთვნილი რეზერვუარი ორ ნაწილად იქნება დაყოფილი: 17 და 8 მ<sup>3</sup> მოცულობებად, ასევე დიზელის საწვავისათვის განკუთვნილი რეზერვუარიც ორ ნაწილად იქნება დაყოფილი: 17 და 8 მ<sup>3</sup> მოცულობებად;

ავტოგასამართ სადგურზე განთავსდება 1 საწვავსარიგებელი სვეტი, ორივემხრიდან ჩასხმით 8 ფისტოლეტიანი.

ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება მხოლოდ ორი სახის ბენზინისა და ორი სახის დიზელის საწვავის მიღება-გაცემა.

აღნიშნული სვეტი უნდა განთავსდეს ტერიტორიაზე ფარდულის ქვეშ, ბეტონის საფარით და მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი (ფარდულის ქვეშ) სადაც არ ხვდება წვიმის წყალი და დაერთებული იქნება საავარიო მიწისქვეშა რეზერვუარზე რომ არ მოხდეს ავარიულად შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა.

როგორც უკვე აღინიშნა, საწვავმარიგებელი სვეტი პროექტის მიხედვით დამონტაჟებული იქნება ზემოდან დახურულ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება თანამედროვე სპეციალურად საწვავისთვის განკუთვნილი მილებით საწვავის ავზთან.

ტერიტორიაზე დაგეგმილი შენობაში განთავსებული იქნება საოპერატორო და საპირფარეო.

გზის გასწვრივ განთავსდება ფასმაჩვენებელი დაფა ელ.სანათებით.

საწვავის მიღება პროექტით დაგეგმილია ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე.

რეზერვუარი განთავსებული იქნება მიწის ქვემოთ. მათი „სასუნთქი სარქველები“-ს სიმაღლე იქნება  $H=3.5$  მ და დიამეტრი  $D=0.05$  მ. რეზერვუარი დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებებით.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია  $1233.7$  მ<sup>3</sup> ოდენობით ( $912.5$  ტ/წელ).

აქედან დღეში იგეგმება  $2.5$  მ<sup>3</sup> ( $1.8$  ტ) ბენზინის რეალიზაცია, ანუ წელიწადში  $912.5$  მ<sup>3</sup>-ის ანუ  $657$  ტონის, ხოლო  $0.88$  მ<sup>3</sup> ( $0.7$  ტ) დიზელის საწვავის რეალიზაცია, ანუ წელიწადში  $321.2$  მ<sup>3</sup>-ის ანუ  $255.5$  ტონის.

საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით და გადაიტანს მას მიწისქვეშა რეზერვუარებში.

რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტებს, საიდანაც ხდება მისი ავტომანქანების ბაკებში (ავზებში) გადასხმა.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას.

ქვემოთ ცხრილ-1-ში მოცემულია ავტოგასამართი სადგურიდან მოსალოდნელი გაფრქვევის მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზდკ) მგ/მ <sup>3</sup>		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღელამური	
1	2	3	4	5	8
1.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
2.	დიზელის საწვავის ორთქლი	314	1		4

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ინტენსივობების მაქსიმალური წამური მნიშვნელობები მიიღება საწვავის მიღებისას და ავტომობილების გამართვისას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავის ავტოცისტერნებში მიღებისას არ ხდება ავტომანქანების გამართვა, ის მნიშვნელოვნად შეამცირებს გაფრქვევების წამურ ინტენსივობებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N435-ის (2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი) „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ“ თანახმად:

ავტოგასამართი სადგურებიდან მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

ა) 1,4 გრამ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინზე;

ბ) 0,0025 გრამ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე;

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეში იგეგმება 2500 ლიტრი ბენზინის რეალიზაცია, ანუ წელიწადში 912500 ლიტრის ხოლო დღეში 880 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია, ანუ წელიწადში 321200 ლიტრის, მაშინ წლიურად გაფრქვეული ნახშირწყალბადების გასაშუალოებული რაოდენობა ტოლი იქნება:

ბენზინის საწვავისათვის:

$$G=1.4 \times 912500 / 1000000 = 1.278 \text{ ტ/წელ;}$$

დიზელის საწვავისათვის:

$$G=0.0025 \times 321200 / 1000000 = 0.0008 \text{ ტ/წელ;}$$

ხოლო საშუალოდ წამური გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ბენზინის საწვავისათვის:

$$M=1.278 \times 10^6 / (3600 \times 8760) = 0.0405 \text{ გ/წმ;}$$

დიზელის საწვავისათვის:

$$G=0.0008 \times 10^6 / (3600 \times 8760) = 0.000025 \text{ გ/წმ;}$$

როგორც ზემოთ აღნიშნული ანგარიში აჩვენებს, ავტოგასამართი სადგურიდან გაფრქვევის ინტენსივობები მცირეა, ამიტომ მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არ გადააჭარმებს დასაშვებ მნიშვნელობებს როგორც ცალკე მისი ფუნქციონირებისას, ასევე კუმულაციური ზემოქმედებით „გალფი“-ს ავტოგასამართი სადგურის ერთობლივი ფუნქციონირებისას.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება განხორციელდება ქალაქ ბორჯომის საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. აღნიშნული სანიაღვრე წყლები მიერთებული იქნება ქ. ბარჯომის სანიაღვრე კანალიზაციასთან.

ავტოგასამართი სადგური აღიჭურვება ცეცხლმაქრებით.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის ქონა.

ხმაურის ინტენსივობის (დონის) გასაზომად უფრო ხშირად იყენებენ ლოგარითმულ სკალას, რომელშიც ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის ორი დონის ასეთ თანაფარდობას უწოდებენ ბელს (ბ). ის განისაზღვრება ფორმულით:

$$I_b = 10 \lg(I/I_0)$$

სადაც  $I$  – ბგერითი წნევის განსახილველი დონეა, პა;

$I_0$  – ადამიანის ყურის სმენადობის ზღვარია და უდრის  $2 \cdot 10^{-5}$  პა.

ერთიანი და თანაბრადდამორებული წერტილებისათვის ხმაურის ჯამური ( $L_{\Sigma}$ ) დონე გამოითვლება ფორმულით:

$$L_j = L_1 + 10 \lg n, \text{ დბ} \quad (1.1)$$

სადაც  $L_1$  – ერთი წყაროდან ხმაურის დონეა, დბ ( $1 \text{ დბ} = 10 \text{ ბ}$ )

$n$  – ხმაურის წყაროს რიცხვია.

$10 \lg n$  არის ხმაურის ერთი წყაროს დონის დანამატი სიდიდე.

საწარმოში დამონტაჟებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, თითოეული მათგანისათვის არ აღემატება 65 დეციბელს. მაშინ ხმაურის ჯამური დონე კუმულაციური ერთობლივი ზემოქმედებით იქნება:

$$L_j = 65 + 10 \lg n = 70 \text{ დბ.}$$

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა აღწევს 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ ხმაურს, რომლის ინტენსივობა მერყეობს 80-დან 135 დბ. ერთი დღეღამის და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას, ასევე შრომის-უნარიანობის დაწე-ვას 10-30%-ით.

მუდმივ სამუშაო ადგილებში ბგერითი წნევებისა და ხმის წნევის დასაშვები დონეები მოცემულია ცხრილ 3-ში.

ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. ასეთ ხმაურს იწვევს აირტურბინული გენერატორები (კონტეინერების გარეშე). 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს

ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

ცხრილი 2.

დანართი 1. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე.

#	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		Lდღე (დბA)		Lღამე (დბA)
		დღე	ღამე	
1.	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2.	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3.	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4.	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5.	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6.	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7.	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8.	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9.	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10.	მცირე ზომის ოფისების ( $\leq 100$ მ <sup>2</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11.	დიდი ზომის ოფისების ( $\geq 100$ მ <sup>2</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12.	სათათბირო სათავსები	35	35	35
13.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა $\leq 6$ ) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა $> 6$ ), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.
- აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერის, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

დანადგარების მიერ შექმნილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L=L_p-20lgr-\beta_{\alpha}r/1000-8\text{დბ} \quad (1.2)$$

სადაც:

$L_p$  არის კომპრესორისა და სხვა მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, დბ. საწარმოს პირობებისათვის კუმულაციური ერთობლივი ზემოქმედებით ის შეადგენს 70 დბ-ს.

$r$  \_ მანძილია წყაროდან მოცემულ ადგილამდე

$\beta_{\alpha}$  \_ ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ქვემოთ ცხრილ 3-ში ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდე

ცხრილი 3.

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმისდახშობა დბ/კმ	0	0.7	1.5	3	6	12	24	48

ფორმულა 1.2.-ში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ  $r$  – მანძილისათვის მიიღება ბგერითი სიმძლავრის დონეები ხმის დამხშობი ღონისძიებების გატარების გარეშე იხ. ცხრილ 4-ში .

ცხრილი 4.

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან $r$ მანძილზე (მ)								
	50	60	68	70	100	150	200	250	300
63	28,02	26,44	25,35	25,10	22,00	18,48	15,98	14,04	12,46
125	27,99	26,39	25,30	25,05	21,93	18,37	15,84	13,87	12,25
250	27,95	26,35	25,25	24,99	21,85	18,25	15,68	13,67	12,01
500	27,87	26,26	25,15	24,89	21,70	18,03	15,38	13,29	11,56
1000	27,72	26,08	24,94	24,68	21,40	17,58	14,78	12,54	10,66
2000	27,42	25,72	24,53	24,26	20,80	16,68	13,58	0,00	0,00
4000	26,82	25,00	23,72	23,42	19,60	0,00	0,00	0,00	0,00
8000	25,62	23,56	22,09	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

ტექნოლოგიიდან გამომდინარე წინასწარი შეფასებით, საწარმოო ობიექტისაგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატებოდეს დასაშვებ ნორმატივებს ახლომდებარე მოსახლეობისათვის.

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 50 მეტრში ორი ავტოგასამართი სადგურის კუმულაციური ზემოქმედებით ნორმაზე ნაკლებია როგორც დღის საათებისათვის, ასევე ღამის საათებისათვის.

დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის საამშენებლო ტერიტორიაზე ფიქსირდება 5 ძირი წიწვოვანი ხე მცენარეები (იხ. დანართი 6, სურათი 2), რომლებიც შენარჩუნებული იქნება. ასევე ტერიტორიის გარე საზღვარზე ფიქსირდება რამოდენიმე მრავალწლიანი მცენარეული სახეობა (იხ. დანართი 6, სურათი 4), ისინი არ წარმოადგენენ წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს. საწარმოს რეკონსტრუქციის დროს ხეების მოჭრა არ იგეგმება. მათ ტერიტორია მოასფალტებულია. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საწარმოო ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის პერიოდში მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყვეტული იქნება საწარმოო.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული, გარდა ინერტული მასალისა, რომელიც გამოყენებული იქნება რეზერვუარის მიწისქვეშ განთავსებისას.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით საამშენებლო მასალების წარმოქმნა ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 3.65 მ<sup>3</sup>-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურისათვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვარი უახლოეს დაცული ტერიტორიიდან - ბორჯომი-ხარაგაულის დაცული ტერიტორიიდან დაშორებულია არანაკლებ 220 მეტრი მანძილით. ყოველივე ამის და ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან და მაშტაბებიდან გამომდინარე, მისი ფუნქციონირება და მშენებლობა ვერ მოახდენს რაიმე უარყოფით ზეგავლენას ზემოთ აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე;

განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი მიწისზედა ძეგლები (ისტორიული

მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები) დაშორებულია არანაკლებ 200 მეტრით (ბორჯომის პარკი). ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან და მაშტაბებიდან გამომდინარე მისი მშენებლობა ვერ გამოიწვევს რაიმე უარყოფით ზეგავლენას მასზე.

დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მის მიმდებარედ არსებული „გალფი“-ს ავტოგასამართი სადგურიდან. ავტოგასამართი სადგურის მაშტაბებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ ავტოგასამართ სადგურებში საწვავის მიღება და გაცემა ერთდროულად არ ხდება, ასევე ორივე ავტოგასამართ სადგურში საწვავის მიღება ავტოცისტერნებით ერთდროულად არ ხდება, ყოველივე აქედან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება იქნება მცირე.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტების მოედანის გარე პერიმეტრი მოწყობილი იქნება არხებით, რომელიც შეერთებული იქნება მიწისქვეშა სალექარ ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დალექვის შემდეგ. ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით და წყლის ავზი.

ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.





დანართი 3. მიწის ნაკვეთის ამონაწერი.



მიწის ელექტრონული რეგისტრაცია N 64.23.02.961

### ამონაწერი საჯარო რეგისტრაციის

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020802414 - 25/10/2020 14:55:48

მიმზადების თარიღი  
28/10/2020 22:45:12

#### საკუთრების განყოფილება

ზონა ბორჯომი	სექტორი ქ. ბორჯომი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გობისაკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არსასახლი სასეკონდო დამუშავებული ფართობი: 262.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 64.23.02.580; 64.23.02.581;
64	23	02	961	

მისამართი: ქალაქი ბორჯომი, ქუჩა რუსთაველის;  
მუნიციპალიტეტი ბორჯომი, ქალაქი ბორჯომი, ქუჩა  
შოთა რუსთაველი, N 20რ

#### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019965013 . თარიღი 20/11/2019 10:32:48  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/11/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნაცვლის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 20/11/2019, საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროს საჯარო რეგისტრაციის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:  
შპს "რეალერ", ID ნომერი: 426112040

მესაკუთრე: აღწერა:  
შპს "რეალერ"

#### იპოთეკა

საგადასახადო გარიგებისა:  
რეგისტრირებული არ არის

#### ვალდებულება

ვალდებულებები:  
რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეგისტრაცია:  
რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეგისტრაციის ეროვნული სააგენტო: <http://public.reestr.gov.ge>

გვერდი: 1(2)

დანართი 4. მიწის ნალვეთის საკადასტრო გეგმა




**საკადასტრო გეგმა**

საკარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **64.23.02.961**  
განცხადების ნომერი: **882020802414**  
მომზადების თარიღი: **28/10/2020**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**  
ფართობი: **262 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



საკარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ძაღლის ქ. ვახტანგ გორგასლის ქვ. 22; ტელ: (995 32) 2 25 15 28;

<http://naer.gov.ge>

დანართი 5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19047366, 23/04/2019 15:49:36

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს რულერ  
**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 426112949  
**რეგისტრაციის ნომერი,  
თარიღი:** 10/02/2016  
**მარეგისტრირებული  
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. ბორჯომი, ფალიაშვილის ქ., № 4

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: nika33314@yahoo.com

ტელეფონი: 555338408

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
შიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმოშადგენლობა**

- დირექტორი - ნიკოლოზ შეტრეველი, 11001019587

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
ნიკოლოზ შეტრეველი, 11001019587	100%	

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

<http://public.reestri.gov.ge>

1(2)


დანართი 6. ავტოგასამართი სადგურის განთავსების ტერიტორიის სურათები.



სურათი 1.



სურათი 2.



სურათი 3.



სურათი 4.